მზესუმზირას სარეველა მცენარეების მოკლე დახასიათება

მზესუმზირას კელაპტარა - Orobanche cumana Wallr.

ფესვის პარაზიტია, ნიადაგის ზემოთ ღეროს თეთრი ფერისაა, შემდეგ იასამნისფერს იღებს, რომლის სიგრძე 50 სმ შეადგენს; ყვავილი - მოცისფრო საყვირის ფორმის; ნაყოფი - ყავისფერი კოლოფია, ერთი მცენარე 40 კოლოფს ივითარებს, თითოეულ კოლოფში 2000 თესლია, მცირე ზომის მტვრისებური, ქინძისთავისებურ-მსხლისებური, ოვალური, თითქმის სფეროსებური, ზედა ნაწილი ფართო, ქვედა შევიწროვებული, ზედაპირი დანაოჭებული, ჭიპი სუსტად გამოხატული, მუქი ყავისფერი, მონაცრისფრო-ყავისფერი, სიგრძე 0.25-0.3 მმ, სიგანე 0.25 მმ, ერთი მცენარე ივითარებს 60000 – 100000 თესლს, სიცოცხლის უნარს ინარჩუნებს 12 წელი.

მდელოს თივაქასრა - Poa pratensis L.

მრავალწლიანი, ფესურიანი, ერთ-ერთი ადრე საგაზაფხულო სარეველაა; ღერო სიმაღლით 30-90 სმ, იშვიათად 10-20 სმ; ფოთლები - ვიწრო, ხაზურა, სიგრძით 4 მმ, სუსტად შებუსული, ყვავილედი - საგველა, სიგრძით 20 სმ, თავთავი - კვერცხისებური, 2-5 ყვავილიანი, მწვანე, იშვიათად იასამნისფერი; მარცვალი - კილიანი, მოგრძო-ცილინდრული, მომწვანო-ნაცრისფერი, ყავისფერი, მოყვითალო-ყავისფერი, სიგრძე 2.25-3 მმ, სიგანე 0.5-0.75 მმ, მარცვალი ოვალურ-ცილინდრული, დანაოჭებული, ღია ან მუქი ყავისფერი, ერთი მცენარე ივითარებს 2000-5000 თესლს.

ავშანფოთლიანი ამბროზია - Ambrosia *artemisiifolia* L.

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, ძლიერ დატოტვილი, ნიადაგში აღწევს 4 მ-მდე; ღერო - სწორმდგომი, დატოტვილი, შებუსული, 0.1-2.5 მ სიმაღლის; ფოთლები - ერთი ან ორმაგ ფრთისებრდანაკვთული, ქვედა მხრიდან შებუსული; ყვავილები - ყვითელი, კალათად შეკრებილი (ერთსახლიანი მცენარეა მდედრობითი და მამრობითი ყვავილებით); ნაყოფი - უკუკვერცხისებრი თესლურაა საბურველით, ცენტრში ერთი დიდი ქაცვით და 5-7 პატარა ქაცვებით ირგვლივ თესლის ზედა მრგვალ ნაწილზე; მომწვანო - მონაცრისფრო, ყავისფერი, სიგრძე 2.5-3.25 მმ, სიგანე და სისქე 1.5-2 მმ. ნაყოფს ანუ თესლურას ადვილად შორდება საბურველი, თესლი უკუკვერცხისებრი, გლუვი, ბზინვარე, ყავისფრიდან შავამდე, სიგრძე 1.5-2.2 მმ, სიგანე და სისქე 1-1.5 მმ. ყვავილობა - ივლისის ბოლო, აგვისტო; ნაყოფს იძლევა სექტემბერ-ოქტომბერში.

ბოლოკა - Rapistrum *rugosum* (L.) All.

ერთწლიანი, მოზამთრე სარეველაა ჯვაროსანთა ოჯახიდან, ფესვი - მთავარღერძა, ძლიერი; ღერო - სწორი, სუსტად დაღარული, დატოტვილი, 30-100 სმ სიმაღლის; ფესვთან მდებარე ფოთლები, ყუნწიანია, მუქი მწვანე, ზოგჯერ მოწითალო ელფერით, ზედა ფოთლები, მოგრძო ლანცეტისებური ან ოვალური დაკბილული; ყვავილი - ყვითელი, ღეროს ბოლოში განლაგებული, ყვავილობს მაის-აგვისტოში; ნაყოფი - ჭოტაკი შედგება ორი ნაწილისგან, ზედა - მომრგვალო კაკლუჭაა, ქვედა ცილინდრული, ზედაპირი დანაოჭებული, ნაცრისფერ-ჩალისფერი, ხშირად შავი წერტილებით, სიგრძე 3-4 მმ, სიგანე 2-3 მმ, თესლი ოვალური ყავისფერი, გლუვი, მწიფდება ივლის-სექტემბერში.

ნაცარქათამა - Chenopodium album L.

ერთწლიანი, ბალახოვანი, საგაზაფხულო სარეველაა; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მომწვანო-მონაცრისფრო, სიმაღლე 20-100 სმ; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებურ-რომბისებური, დაკბილული; ყვავილედი - თავთავისმაგვარი, სიგრძე 10-40 სმ, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; თესლურა - მომრგვალო, წვრილი, შავი, დიამეტრით 1.5 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 100 000 თესლი, აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 8 წელიწადს.

ხვართქლა - Convolvulus arvensis L.

მრავალწლიანი ბალახოვანი, ფესურიანი, აბეზარი, შხამიანი სარეველაა ხვართქლასებრთა ოჯახიდან; ღერო - ხვიარა შიშველი წვრილი, სიმაღლე ერთი მეტრი; ფოთლები - ვიწრო შუბისმაგვარი; ყვავილი - თეთრი ან ვარდისფერი; ნაყოფი - კოლოფი, მონაცრისფრო-მწვანე, მონაცრისფრო-ყავისფერი, ნაცრისფერი, მომრგვალო-ოვალური, ხაოიანი ზედაპირით, სიგრძე 6-7.5 მმ, სიგანე 6.5 მმ, თესლი უკუკვერცხისებრი, სამწახნაგოვანი, ზედაპირი გლუვი, მონაცრისფრო-ყავისფერი, მუქი ნაცრისფერი, თითქმის შავი, სიგრძე 2.5-3.5 მმ, სიგანე 2-2.5 მმ.

ყვითელი ძურწა - Setaria glauca (L.) P.B.

ერთწლიანი მარცვლოვანი საგაზაფხულო სარეველაა, გვალვაგამძლე; ფესვი - ფუნჯა, ღერო - სწორმდგომი, სიმაღლით 10 – 60 სმ; ფოთლები - ლანცეტისებური, მოყვითალო - მომწვანო; ყვავილედი - თავთავი, სიგრძით 4-6 სმ; მარცვალი - კვერცხისებურ-ოვალური ფორმის, მოყვითალო-მომწვანო ან მუქი ყავისფერი, სიგრძე 2-2.75 მმ, სიგანე 1.5-1.75 მმ, სიცოცხლისუნარიანობა 30 წელია.

შალაფა - Sorghum halepense (L.) Pers.

მიეკუთვნება მარცვლოვანთა ოჯახს, ფესურიანი სარეველაა, აბეზარი; ღერო - სწორმდგომი 2 მ-მდე; ფოთოლი ლანცეტისებური; ყვავილედი თავთავი; ნაყოფი - მარცვალი, მოგრძო კვერცხისებური, ყავისფერი, სიგრძე 5-6 მმ, სიგანე 2 მმ, ერთ თავთავში 500-800-მდე მარცვალია.

ყანის ბირკა - Caucalis daucoides L.

ერთწლიანი სარეველა მცენარეა ქოლგოსანთა ოჯახიდან; ფესვი - წვრილი, მარტივი; ღერო - სწორი, დატოტვილი, 10-40 სმ სიმაღლის, ეკლიანი; ფოთლები - 2-3 ფრთისებრ დანაკვთული; ყვავილები თეთრი ან მოწითალო, შეკრული ქოლგად, ყვავილობს ივნის -ივლისში. ნაყოფი (თესლი) კვერცხისებრი, ყავისფერი, ეკლისებური გამონაზარდებით, სიგრძე 10 მმ, სიგანე 5 მმ.

წიწმატურა - Capsella bursa-pastoris (L.) Medic.

ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მარტივი, დატოტვილი, სიმაღლე 20-60 სმ; ფოთოლი - მორიგეობით განლაგებული, მჯდომარე, მოგრძო-ლანცეტისებური; ყვავილი - წვრილი, თეთრი ფერის, ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე; ნაყოფი - ჭოტაკი, სიგრძე 5-8 მმ, უკუღმა სამკუთხა-გულისებრი; თესლი - მოყავისფრო-მოყვითალო, ოვალური, სიგრძე 1-2.5 მმ, სიგანე 0.5-0.7 მმ, მწიფდება მაისიდან სექტემბრამდე, ერთი მცენარე იძლევა 70 000 თესლს.

ჩვეულებრივი ჯიჯლაყა - Amaranthus *retroflexus* L.

ერთწლიანი საგაზაფხულო სარეველაა; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მარტივი ან დატოტვილი, ღია მწვანედან მოწითალომდე, სიმაღლე 20-150 სმ; ფოთლები - კვერცხისებრ-რომბისებრი; ყვავილედი - ცილიდრული, მწვანე ფერის, ყვავილობს ივნის-სექტემბერში; თესლი - მომრგვალო, მუქი ყავისფერი, პრიალა, დიამეტრით 1 მმ; ერთი მცენარე იძლევა 5 000 თესლს.

ბეგიაური - Galium aparine L.

ერთწლიანი, შხამიანი, ბალახოვანი სარეველაა ენდროსებრთა ოჯახიდან, ღეროს სიმაღლე 30-80 სმ; ფოთოლი ვიწრო ლანცეტისებური; ყვავილი - წვრილი თეთრი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; ნაყოფი კაკლუჭა, მომრგვალო, აქვს ამონაკვეთი, მონაცრისფრო-ყავისფერი, დაფარულია ჯაგრებით, სიგრძე 1.75-3 მმ, სიგანე 1.25-2.25 მმ; თესლი ნაყოფის მაგვარი, ჯაგრების გარეშე.